საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 8139/01
02/08/2021

8139-01-2-202108021014

შპს „ECOMIX"-ის დირექტორს არმან ჰაკობიანს
მის: ქ. თბილისი, ალ. თვალჭრელიძის ქ. N6
ელ. ფოსტა: ecomix.ge@yahoo.com

ბატონო არმან,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 23 ივნისის N11079 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, წყალში ხსნადი საღებავების წარმოებას და გაცნობებთ შემდეგს:

- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ წყალში ხსნადი საღებავების დამამზადებელი მიქსერიდან გაფრქვევის ინტენსივობების ანგარიში განხორციელდა ბეტონშემრევიდან გაფრქვევების ანალოგიური მეთოდით, კერძოდ: ბეტონშემრევში ყოველ 1 ტონა ბეტონის წარმოებისას ატმოსფეროში გამოიყოფა 0,05 კგ/ტონაზე და ასევე დაანგარიშებულია გაფრქვევის წლიური ინტენსივობა (გვ. 8). თუმცა განცხადებაში არ არის აღნიშნული რომელ დამაბინძურებელ ნივთიერებაზე გაკეთდა გამოთვლები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს ექსპლუატაციისას ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი საწარმოს ექსპლუატაციისას გამოწვეული სუნის გავრცელებისა და ზემოქმედების საკითხი;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში არ არის მოსალოდნელი სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, თუმცა ობიექტზე განთავსდება ჰერმეტული კონტეინერი, ხოლო სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში მისი გატანა მოხდება შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციის მიერ. დაზუსტებას საჭიროებს სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის საკითხი (მათ შორის რა სახის სახიფათო ნარჩენის წარმოქმნაა მოსალოდნელი). ასევე დაზუსტებას საჭიროებს შემოტანილი ნედლეულის შესაფუთი მასალის, როგორც ნარჩენის შემდგომი მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ნედლეულის შემოტანის შესახებ (შეფუთვა; ტრანსპორტირება, შესაბამისი სქემის მითითებით);
- დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს როგორ ხდება მზა პროდუქციის დაფასოება/დასაწყობება და შემდგომი რეალიზაცია;

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საწარმოს გენ-გეგმა შესაბამისი აღნიშვნებით და ექსპლიკაციით;
- განცხადების თანახმად, საწარმოში საღებავების შერევისათვის გამოიყენება 0.125 ტ/სთ წარმადობის ერთი ერთეული შემრევი მიქსერი. დაზუსტებას საჭიროებს მიქსერის ტიპი/მოდელი;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, შპს „ECOMIX"-ს დაგეგმილი აქვს წყალში ხსნადი საღებავების წარმოება. ამასთან, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2021 წლის 10 თებერვალს შპს „ECOMIX"-ის ობიექტის ინსპექტირებისას (ინსპექტირების აქტი №007457) დადგინდა, რომ საწარმო 2020 წლიდან ახორციელებს საღებავების დამზადებას, რაზეც თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 15 აპრილის N4/1921-21 დადგენილებით შპს „ECOMIX" ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7]-ე მუხლის პირველი ნაწილით და სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა. სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს საწარმოში არსებული მდგომარეობის შესაბამისად;
- მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). **სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ცნობით** სამრეწველო ზონა 1-ში (ს-1) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებას და შესაბამისი ინფორმაციის სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენას.

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე